

სამხრეთ კორეაში XXIII-ე ზამთრის ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნა



სამხრეთ კორეის ქადაქ პიონჩანგში რიგით XXIII-ე ზამთრის ოლიმპიადა გაიხსნა.

2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიურ დედეგაციებთან ერთად საქართველოს დედეგაცია გამოვიდა. დედეგაციის მედროშე მოციგურავე მორის ყვითედაშვიდია. პირდაპირ ეთერს [ltv](http://ltv.ge) აშუქებდა.

საქართველოს დედეგაცია წელს ოთხი სპორტსმენით არის წარმოდგენილი. სამთო სათხილამურო სპორტში მოასპარეზე იასონ აბრამაშვილისთვის ეს რიგით მეოთხე ოლიმპიადა იქნება, ნინო წიკრაური კი ოლიმპიურ თამაშებზე სპორტური კარიერის მანძილზე მესამედ წარსდგება. ოლიმპიადის დებიუტანტები არიან ფიგურურ სრიალში მორის ყვითედაშვიდი, საციგაო დისციპლინაში – გიორგი სოლოიანი.

ოლიმპიადის გახსნის და დახურვის ცერემონიები ფიონჩანგში, ოლიმპიურ სტადიონზე ჩატარდება, რომელიც 35 ათას მაყურებელს იტევს. სამხრეთ კორეის ზამთრის ოლიმპიადა პირველია, სადაც მედლების 100-ზე მეტი კომპლექტი გათამაშდება. 15 დისციპლინაში სულ 102 შეჯიბრი გაიმართება.

პირველივე დღეს ისტორიული მომენტის დაფიქსირება შეძლეს ფოტოგრაფებმა— სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ჩრდილოეთ კორეის დიდურის დას, კიმ იო ინს ხელი ჩამოართვა.

